ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

იაკობ გოგებაშვილი - რეალური სასწავლებლების შესახებ

ია გრიგალაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

იაკობ გოგებაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნისა და ეროვნული სასწავლებლების დაფუძნების საქმეში. თანამედროვე მკითხველი მისი წერილების კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის მოსაზრებების გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება საქართველოს განათლების სისტემას.

დღეს, როდესაც ასეთი აქტუალურია ევროპულ და მსოფლიო სტანდარტებთან საქართველოს განათლების სისტემის შესაბამისობის საკითხები, იაკობ გოგებაშვილის უკვდავი რეკომენდაციები უდავოდ გასათვალისწინებელია.

წერილში „სიტყვა თქმული სათავადაზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზედ" იაკობ გოგებაშვილი მსჯელობს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების დაარსების აუცილებლობის შესახებ. ესენია: მოსამზადებელი სკოლა, საშუალო სასწავლებლები, კერძოდ, რეალური და კლასიკური. განსაკუთრებით საინტერესოა რეალური სასწავლებლის ტიპები, რომლებსაც გვიხასიათებს ავტორი.

მისი თქმით, რეალურ თეორიულ სწავლასთან ერთად მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ პრაქტიკულად, თვალსაჩინოდ: მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა.

საგულისხმოა, რომ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და სამხრეთ კორეაში ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ისწავლონ რეალური ტიპის სასწავლებლებში და თეორიული ცოდნა გამოიყენონ მუშაობისას.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მცირერიცხოვანია იმ სასწავლებლების რიცხვი, რომლებშიც ახალგაზრდები პრაქტიკულ ცოდნას იღებენ. იაკობ გოგებაშვილის უკვდავი რეკომენდაციების გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის სწორად აღზრდის მამულიშვილურ საქმეს.

საკვანძო სიტყვები: *რეალური, სასწავლებელი, ცოდნა, პრაქტიკული*

განუზომელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნისა და ეროვნული სასწავლებლების დაფუძნების საქმეში. ცნობილია შესანიშნავი ქართველი მოღვაწის წერილების მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის.

ISSN 1512-1801

უფრო მეტიც, იაკობ გოგებაშვილი გვევლინება თანამედროვე ქართული განათლების სისტემის რეფორმატორად.

დღეს, როდესაც ასეთი აქტუალურია ევროპულ და მსოფლიო სტანდარტებთან საქართველოს განათლების სისტემის შესაბამისობის საკითხები, იაკობ გოგებაშვილის უკვდავი რეკომენდაციები უდავოდ გასათვალისწინებელია. წერილში „სიტყვა თქმული სათავადაზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზედ" იაკობ გოგებაშვილი მსჯელობს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების დაარსების აუცილებლობის შესახებ. ესენია: მოსამზადებელი სკოლა, საშუალო სასწავლებლები, კერძოდ, რეალური და კლასიკური. განსაკუთრებით საინტერესოა რეალური სასწავლებლის ტიპები, რომლებსაც გვიხასიათებს ავტორი.

იაკობ გოგებაშვილის აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" 1891 წელს, N 113. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ სურს დაადგინოს რა გზებითა და ხერხებით უნდა შეძლონ სააზნაურო სკოლის მოწყობა ისე, რომ მან სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. „ჩვენ უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ღარიბნი ვართ და ამის გამო ყოველს ჩვენს ხარჯს უნდა მოსდევდეს ბლომი სიკეთე, მცირე ფულს - ბლომი ნაყოფი." სააზნაურო სკოლა შედგება მოსამზადებელი კლასებისა და პროგიმნაზიისაგან. მოსამზადებელი კლასები „ზემსკის" ფულით ინახება და ამ ფულის უმეტესი ნაწილი ქართველებს შეაქვთ. მათი ფულით დაარსებული სასწავლებლები სავსეა სხვადასხვა ხალხის შვილებით და მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილი ურევია ქართველი ახალგაზრდებისა, რომლებიც დაშორებულნი არიან ყოველ ეროვნულ ძალასა და საუნჯეს, იმდენად გაწყვეტილი აქვთ კავშირი სამშობლოს წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან, რომ ხეირიანი ქართული წერა-კითხვის ცოდნასაც მოკლებულები არიან. აღარ უნდა გვიკვირდეს ის სამწუხარო მოვლენა, რომ კურსდამთავრებულები ასეთ აშკარა გულგრილობას იჩენენ ჩვენი ერის სიკეთის, საზოგადო ინტერესებისა და ეროვნების მიმართ!

ამ მდგომარეობაში კარგ, პედაგოგიურად მოწყობილ მოსამზადებელ სკოლას დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ჩვენს ერსა და საზოგადოებას. ის შეიძლება იქცეს ფართო რეზერვუარად, სამოსწავლო აუზად, საიდანაც ქართველი მოზარდი თაობა იწყებს დენას სხვადასხვა სასწავლებლებში. იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს დაწყებითი განათლების პროგრამების მიმართ. მისი თქმით, „რვა წლიდგან დაწყებული ვიდრე თორმეტ წლამდე სკოლის ჩაბეჭდილებანი უფრო ღრმად მიდიან მოსწავლეთა სულსა და გულში, ვიდრე შემდეგ და ჰყრიან საძირკველს მათის მომავლის მისწრაფებისა და მიმართულებისასა."(ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990, გვ. 53)

თანამედროვე ქართული სკოლების დაწყებით კლასებში ძირითადი ყურადღება გადატანილია თეორიული მასალის შესწავლაზე. 7-დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეები შეისწავლიან მშობლიური ენის, ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ისტორიისა და უცხო ენის დაწყებითი კლასებისათვის

ISSN 1512-1801

განსაზღვრულ პროგრამას. თუმცა, მათთვის არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული ხასიათის სწავლება.

მიჩნეულია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი განათლების სისტემა გერმანიას აქვს. საშუალო განათლება იქ ცამეტწლიანია. მისი გასრულების შემდეგ მოსწავლე იღებს ატესტატს Abitur. მხოლოდ ამ საბუთით შეიძლება გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა.

გერმანიაში სასკოლო განათლება სავალდებულოა პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით. სკოლათა ოთხი ტიპი გამოიყოფა: 1. **დაწყებითი სკოლა,** სადაც ირიცხებიან 5-6 წლის ბავშვები და სწავლა 4-6 წელიწადი გრძელდება. პირველი ორი წელი ყველა დისციპლინას კლასის დამრიგებელი ასწავლის. მესამე კლასიდან გაკვეთილებს საგნობრივი პედაგოგები უძღვებიან. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები იღებენ რეკომენდაციას, სად უმჯობესია მათთვის სწავლის გაგრძელება: ძირითად სკოლაში, რეალურში თუ გიმნაზიაში.

ძირითადი სკოლა (hauptschule) გულისხმობს მეცხრე კლასამდე სწავლას, როგორც წესი, აქ ყველაზე სუსტი მოსწავლეები ხვდებიან. ამ სკოლის მიზანია მოსწავლეთა მომზადება პროფესიის ასარჩევად. ამიტომ მეცადინეობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. არდადეგების დროს მოსწავლეები ვალდებულნი არიან გაიარონ საწარმოო პრაქტიკა. სკოლის დამთავრების შემდეგ გაიცემა არასრული საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი, რომელიც პროფესიულ სკოლაში (Berufesschule) ჩაბარების უფლებას იძლევა. ეს უკანასკნელი უახლოეს წარსულში ჩვენთან არსებული პროფტექნიკუმის ანალოგია.

გერმანიაში სულ უფრო პოპულარული ხდება ე. წ. **ერთიანი სკოლები** Gesamtshule). აქ ყველა მოსწავლე ათწლიან განათლებას გადის და არასრული საშუალო განათლების ატესტატს იღებს. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდები გიმნაზიაში აგრძელებენ სწავლას ან რომელიმე ხელობის ათვისებას იწყებენ. გერმანიის ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე (ლანდზე) „ერთიანი სკოლა" ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე სკოლაში განთავსებულია ძირითადი სკოლა, რეალური სკოლა და გიმნაზია. ამას ორი მიზანი აქვს: 1. გაუადვილოს მოსწავლეებს ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა და 2. სუსტი მოსწავლეები არასრულფასოვნების კომპლექსისაგან გაათავისუფლონ.

თანამედროვე გერმანული **რეალური სკოლა** (Realschule) გულისხმობს მეათე კლასამდე სწავლას. აქ მოსწავლეები შედარებით ვრცელ, მაგრამ მაინც არასრულ განათლებას იღებენ. რეალური სკოლის კურსდამთავრებულებს უფრო დიდი არჩევანი აქვთ, ვიდრე მათ თანატოლებს, რომლებმაც ძირითადი სკოლა დაამთავრეს. გარდა პროფსკოლებისა, მათ შეუძლიათ ორწლიანი კურსის გავლა სახელმწიფო სამსახურში ჩასადგომად (მათ შორის - პოლიციასა და ბუნდესვერშიც (სამხედრო სამსახურში), ასევე სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში (Gymnasium) ან სპეციალიზებულ გიმნაზიაში (fachoberschule)(დ.

ISSN 1512-1801

თინიკაშვილი, სასკოლო განათლება გერმანიაში, 30 ივლისი, 2013 წელი, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ge").

ქართველი ერის დიდ ქომაგი და მოამაგე, იაკობ გოგებაშვილი ზემოთ ნახსენებ წერილში საგანგებოდ საუბრობს მოსამზადებელი კლასებიდანვე მოსწავლეთა პრაქტიკაში ჩართვაზე. „ჩემი აზრით, მოსამზადებელ კლასებთან უნდა დავაარსოთ **რეალური სასწავლებელი** ხუთი წლის კურსით, მხოლოდ იმ დამატებით, რომ თეორიულს სწავლასთან ერთად მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ პრაქტიკულად, თვალსაჩინოდ: მებოსტნეობა, მებაღეობა, ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა და ამ სახით მოემზადონ მაღალი სამეურნეო ცოდნის მისაღებად. მე უარ-ვყოფ ორს სპეციალურ კლასსა, რომელსაც აბამენ რეალურს სასწავლებლებსა, რადგანაც ეს მოკლე კუდი უძლურია და მეტ-ნაკლებობით უსარგებლო. რეალურს სასწავლებელს უნდა მოჰყვეს მაღალი სამეურნეო სასწავლებელი, სადაც განვითარებული ქართველი ახალგაზრდობა შეისწავლის სწორედ იმ ცოდნასა, რომელიც უძვირფასესია ყველა ცოდნაზედ საქართველოს ერისათვის, რომელსაც აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე თვალწინ უძევს და სიღარიბით კი შეწუხებულია შესაბამისი ცოდნის უქონლობის გამო". (ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990, გვ.58)

ჩვენს ქვეყანაში 117 პროფესიული სასწავლებელია, თუმცა, ძირითადად შეასწავლიან ვაჭრობას (კომპიუტერებით, მანქანის ნაწილებით, პროდუქტით), მშენებლობას, ორიოდე სასწავლებელი ასწავლის უალკოჰოლო სასმელების დამზადებას ახალგაზრდებს, კოლეჯებში ასწავლიან საბანკო, საბუღალტრო საქმეს, ამზადებენ რესტორნებისა და სასტუმროების მომსახურე პერსონალს. ყურადღების მიღმაა დარჩენილი სოფლის მეურნეობის მთავარი დარგები: მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა, მემცენარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეჩაიეობა და სხვ. მიწათმოქმედთა ქვეყანას, საქართველოს, რომელსაც აქვს დიდი ისტორიული გამოცდილება სოფლის მეურნეობაში, სათანადო სპეციალისტების მომზადების გარეშე გაუჭირდება აღნიშნული დარგების განვითარება. ამჟამად ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის კოლეჯი, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი მემცენარეობის განსავითარებლად.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი პროფესიული პროგრამები: ტელე-კინო რეჟისორი, ტანსაცმლის დიზაინი, კბილის ტექნიკოსი, სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (IV საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (IV საფეხური), სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (V საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (V საფეხური). ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მოდულურ პროფესიულ პროგრამებზე: „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი" (ხელ-ი: ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი), „ტუროპერატორი" (ხელ-ი ასისტენტ პროფ. მ. ხოხობია), „სასტუმრო საქმის სპეციალისტი" (ხელ-ი ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე). აღნიშნული პროგრამების განხორციელების მიზნით მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის

ISSN 1512-1801

დაფინანსებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (გამოიყო
20 000 ლარი). მიგვაჩნია, რომ უნდა ამოქმედდეს მეტი პროფესიული პროგრამა.
გერმანია, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილი განათლების სისტემა გააჩნია, რეალური სასწავლებლებით ახალგაზრდებს საკმაოდ დიდი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას სთავაზობს. საფიქრებელია, რომ დიდი საზოგადო მოღვაწე დაინტერესებული იყო ევროპული განათლების სისტემით. იაკობ გოგებაშვილი თქმით, კლასიკური განათლების მიღება დიდ დროს მოითხოვს და ძალიან ღლის მოსწავლის გონებას. „ეს აზრი ბოლოს ხანს გაისმა გერმანიის საიმპერატორო ტახტიდანაც-კი" -იმავე წერილში შენიშნავს ქართული პედაგოგიკის მესაძირკვლე.
საგულისხმოა, რომ რეალური სასწავლებლის ტიპისაა ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოში არსებული „შემდგომი განათლების კოლეჯები". ქეთევან ჭკუასელი და რუსუდან სანაძე წერილში „უმაღლესი განათლება დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში" შენიშნავენ, რომ შემდგომი განათლების კოლეჯი უზრუნველყოფს დროის სრული (full-time) ან ნაწილობრივი (part-time) დატვირთვით სწავლებას სტუდენტებისათვის, რომელთა ასაკი აღემატება სკოლის დამთავრების ასაკს (16 წელი). შემდგომი განათლების კოლეჯთა უმრავლესობა სპეციალიზირებულია ინჟინერიაში, სოფლის მეურნეობაში, სახვით ხელოვნებასა და მასწავლებელთა მომზადებაში. ასევე არსებობს ზოგიერთი კოლეჯი, რომელიც ბიზნესის, არქიტექტურისა და სხვა სფეროების სწავლებაზე არიან ფოკუსირებული (ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, ქ. ჭკუასელი, რ. სანაძე, „უმაღლესი განათლება დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში").
ითვლება, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო სისტემა აქვს სამხრეთ კორეას. ის რამდენიმე საფეხურად იყოფა:
- სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები)
- 6 წლიანი დაწყებითი განათლება
- 3 წლიანი საშუალო სკოლა
- 3 წლიანი უმაღლესი საფეხურის საშუალო სკოლა, ჰაისქული
- 4 წლიანი უმაღლესი განათლება

უმაღლესი საფეხურის საშუალო სკოლადამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა
გააგრძელონ კოლეჯებში ან უნივერსიტეტებში. ამ ტიპის სკოლები ორ კატეგორიად იყოფა: საერთო საგანმანათლებლოდ და პროფესიულად. საერთო საგანმანათლებლო უმაღლესი საფეხურის სკოლებში სწავლობენ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნებს, ხელოვნებას და უცხო ენებს. სკოლები, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, იყოფა სპეციალიზებულ განყოფილებებად, მაგალითად, არსებობს „სამეცნიერო", უცხო ენების შემსწავლელი და ხელოვნებათმცოდნეობითი

ISSN 1512-1801

ჰაისქულები. პროფესიულ ჰაისქულებში ახალგაზრდები ცოდნას იღებენ კომპიუტერულ ტექნიკაში, შეისწავლიან ბიზნესადმინისტრირებას, მანქანათმშენებლობას, სოფლის მეურნეობას და საზღვაო საქმეს. არის არცთუ ისე ბევრი შერეული ტიპის „საერო" სკოლაც, სადაც ისწავლება როგორც საერთო საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული საგნები (ბ. ლორთქიფანიძე, განათლება სამხრეთ კორეაში, 28 მაისი, 2013 წელი, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge)

მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს პროფესიულ სწავლებას და ის არ უნდა იყოს შორს უმაღლესი საგანმანათლებლო აკადემიური სივრცისაგან. ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გამოცდილება გასათვალისწინებელია თანამედროვე ქართული განათლების სისტემის რეფორმირებისათვის.

წერილში „სიტყვა თქმული სათავადაზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზედ" იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის მომხრეა რეალური სისტემისა კლასიკურთან შედარებით: „რეალური სისტემა ითხოვს უფრო მოკლე დროსა და ნაკლებ ხარჯსა, რაც ჩვენისთანა ხელ-მოკლე ხალხისათვის დიდი შეღავათია"(მიმართულებისასა."(ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990, გვ.57).

იაკობ გოგებაშვილი მეთოდურად ასაბუთებდა ენის გაკვეთილებზე ლიტერატურის მასალის მეშვეობით მოსწავლეთათვის რეალური, ენციკლოპედიური განათლების მიწოდების იდეას (აკ. თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1991, გვ. 22).

იაკობ გოგებაშვილის საგულისხმო რეკომენდაციების განხორციელება უდავოდ სასიკეთოდ წაადგება თანამედროვე ქართული განათლების ევროპული და მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობის მამულიშვილურ საქმეს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990
2. დავით თინიკაშვილი, სასკოლო განათლება გერმანიაში, 30 ივლისი, 2013 წელი, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ge"
3. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, ქეთევან ჭკუასელი, რუსუდან სანაძე, „უმაღლესი განათლება დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში"
4. ბესარიონ ლორთქიფანიძე, განათლება სამხრეთ კორეაში, 28 მაისი, 2013 წელი, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge
5. აკაკი თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1991